

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს კახელები

ს/ნ 202359072

2022 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება -----	2
2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	3
3. სააღრიცხვო პოლიტიკა -----	4
4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	13

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	311,538	31,558	13,566
სავაჭრო მოთხოვნები	2	237,507	290,817	122,089
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3	535,942	521,127	725,694
საინვესტიციო ქონება		-		
გადახდილი ავანსები		34,629	99,646	164,314
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		3,696		
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-		
სულ მიმდინარე აქტივები		1,123,311	943,148	1,025,663
ძირითადი საშუალებები	4	5,237,819	3,489,682	3,185,543
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		417		
ბიოლოგიური აქტივები		-		
- თვითღირებულების მოდელით		-		
- გადაფასების მოდელით		-		
გუდვილი		-		
არამატერიალური აქტივები	5	2,573	3,027	3,853
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,240,809	3,492,709	3,189,396
სულ აქტივები		6,364,120	4,435,857	4,215,059

ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	6	124,406	188,127	89,747
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-		
საგადასახადო ვალდებულებები	7	143,611	124,902	111,457
მიღებული ავანსები		-		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		15,561	16,253	171,621
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2,812		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		286,390	329,282	372,825
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1,678,069	296,755	230,909
მიღებული გრანტები		-		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,678,069	296,755	230,909
სულ ვალდებულებები		1,964,459	626,037	603,734

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		2,490,932	2,246,120	2,243,723
საემისიო შემოსავალი		-		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,908,730	1,563,700	1,367,602
გადაფასების რეზერვი		-		
სხვა რეზერვები		-		
სულ საკუთარი კაპიტალი		4,399,662	3,809,820	3,611,325
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,364,120	4,435,857	4,215,059

2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021	2020
ამონაგები		3,861,308	2,949,604	2,455,442
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		1,414,266	1,276,162	993,350
მარაგების თვითღირებულება		1,414,266	1,276,162	993,350
საერთო მოგება		2,447,041	1,673,442	1,462,092
სარეკლამო ხარჯი		1,659		
დასაქმებულთა ანაზღაურება	8	812,914	599,635	558,509
იჯარის ხარჯი		-		
კომუნალური გადასახადები ხარჯი		125,766	97,947	
კომუნიკაციის ხარჯი		3,565	2,246	
ცვეთა და ამორტიზაცია		247,441	262,337	202,915
საბანკო მომსახურების ხარჯი		33,839	18,889	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი		758,437	513,377	288,999
სულ საოპერაციო ხარჯები		1,983,621	1,494,431	1,050,423
საოპერაციო მოგება		463,420	179,011	411,669
საპროცენტო შემოსავალი:		-		
საპროცენტო ხარჯი :		-	3,916	2,949
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:				
წმინდა საპროცენტო ხარჯი		(18,331)	(3,916)	(2,949)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	9	(1,235)	164	939
მიღებული დივიდენდები		-		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		5,089	20,839	38,818
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობი		448,943	196,098	448,477
მოგების გადასახადი		14,919		1,148
მოგება/(ზარალი)		434,024	196,098	447,329
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი				
რეალიზებული ძირ. საშუალებების თვითღირებულება				
ვალის პატივით მიღებული შემოსავალი				
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		434,024	196,098	447,329
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		3,809,820	3,611,325	2,280,743
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-		
განაწილება მესაკუთრეებზე		-		
მიმდინარე პერიოდის წმინდა მოგება		434,024	196,098	894,658
დივიდენდის განაწილება		88,994		6,781
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		244,812	2,397	890,034
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		4,399,662	3,809,820	4,058,654

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „კახელების“ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

შპს „კახელები“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2006 წლის თექვსმეტ ნოემბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით - 202359072. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, გურჯაანის რაიონი, სოფელი ვაჩნაძიანი, ხოლო ფაქტიური მისამართი არის ქ. თბილისი, საქნავთობის დასახლება 2. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურების გაწევა.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტ (პ/ნ 01017010363), საქართველო. დამფუძნებელი ჭიჭიკო გოლეტიანი (პ/ნ 01017004624), საქართველო - 100%.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

არაფულადი მუხლების გადაანგარიშგება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციები განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების შესაფასებლად კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მიდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში ისინი აისახება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან,

ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებული უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობის შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარდება, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით,

გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სახვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლების, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები - 50 წელი

მანქანა დანადგარები და მოწყობილობები - 10-15 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 2-5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შემენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 15 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. კომპანია საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას და შემდგომ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით.

საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა საინვესტიციო ქონებას ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშვება, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და

ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, გაუნაწილებელი მოგებისა და ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, გაიშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021	2020
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	5,484	14,483	6,030
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	306,013	17,075	7,536
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი)	41	-	-
სულ	311,538	31,558	13,566

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	237,507	290,817	122,089
სხვა მოთხოვნები	-	-	-
სულ	237,507	290,817	122,089

შენიშვნა 3

მარაგები

	2022	2021	2020
ნედლეული და მასალები	60,879	39,543	223,421
მზა პროდუქცია	439,200	392,707	253,115
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-
სხვა მარაგები	35,862	88,877	249,158
სულ	535,942	521,127	725,694

შენიშვნა 4								
ძირითადი საშუალებები								
	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა დანადგარები / მოწყობილობ ები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ბიოლოგიური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2020	1,247,092	1,417,851	1,122,774	323,995	334,341	69,600	-	4,515,653
შემოსვლა	291,897	80,395	160,668	11,651	44,384		-	588,995
გასვლა	1,562	14,466	-	-	42,780		-	58,808
31 დეკემბერი 2021	1,156,260	1,343,743	1,283,442	345,746	335,944	199,537	381,167	5,045,839
შემოსვლა		211,577	116,642	14,467	419,070	1,325,056	27,674	2,114,486
გასვლა			2,960		44,370	94,363	405	142,099
31 დეკემბერი 2022	1,156,260	1,555,320	1,397,124	360,212	710,644	1,430,230	408,435	7,018,226
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2020	-	160,689	697,629	212,823	258,969	-	-	1,330,110
პერიოდის ცვეთა	-	61,669	136,814	33,379	29,649	-	-	261,511
გასვლა	-	-	-	-	35,463			35,463
31 დეკემბერი 2021	-	222,358	834,443	246,202	253,155	-	-	1,556,158
პერიოდის ცვეთა	-	61,922	97,630	18,409	69,027	-	-	246,987
გასვლა	-	-	76	-	22,661			22,737
31 დეკემბერი 2022	-	284,280	931,997	264,611	299,520	-	-	1,780,408
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	1,247,092	1,257,162	425,145	111,172	75,372	69,600	-	3,185,543
31 დეკემბერი 2021	1,156,260	1,121,385	448,999	99,544	82,789	199,537	381,167	3,489,681
31 დეკემბერი 2022	1,156,260	1,271,040	465,127	95,602	411,123	1,430,230	408,435	5,237,818

შენიშვნა 5

არამატერიალური აქტივები

	2022	2021	2020
არამატერიალური აქტივები	12,520	12,520	12,520
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9,947	9,493	8,667
არამატერიალური აქტივი ნარჩენი ღირებულებით	2,573	3,027	3,853

შენიშვნა 6

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	124,406	188,127	89,747
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		-	-
სულ	124,406	188,127	89,747

შენიშვნა 7

საგადასახადო ვალდებულებები	2022	2021	2020
საგადასახადო ვალდებულებები	143,611	124,902	111,457
სულ	143,611	124,902	111,457

შენიშვნა 8

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2022	2021
შრომის ანაზღაურება მთლიანად	48359.93	33,192
სულ	48359.93	33,192

შენიშვნა 9

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:

	2022	2021
შემოსავალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან/კონვერტაციიდან	223,703	165,294
ხარჯი ვალუტის კურსის ცვლილებიდან/კონვერტაცია	224,938	165,130
საკუროს სხვაობით/კონვერტაციით მიღებული მოგება/(ზარალი)	(1,235)	164

შენიშვნა 10

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ჯუმბერ ხუნდაძე